№ 251

კვირა, 19 ნოემბერი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 251

კვირა, 19 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

ორშაბათს, 20 ნოემბერს, 1895 წელს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში მოხდება კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა. კრების განსახილველ საგნებს შეადგენენ:

1) ადმინისტრატული კითხვები. 2) მოხსენებანი: ა) ხაზინადარის ი. ა. სავიცკისა. ბ) წიგნთ-საცავის გამგებლის ა. ი. მიტკევიჩისა. გ) მდივნის ა. ს. ფრენკელისა. 3) ამორჩეულ იქმნებიან თანამდებობაზედ ამ 189⅚ წლისათვის. 4 რეფერატი საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელისა: „კავკასიაში ძარცვის ეკონომიური მიზეზნი“.

საზოგადოების წესდების მე-17 მუხლის ძალით სხდომას შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ.

(3—3).

## მიიღებს 250 მანეთს,

რომელიც დაკარგულს ხელის საკვოიაჟში იყო, ვინც წარმოადგენს დაკარგულს გულზედ დასაკიდებელს ჯვარს მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარის ნინოსას.

(2—2040—2).

## კაბინეტი კბილის ექიმთა

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

## ვკისრულობ

ყოველ გვარს სამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკში დაგირავებას.

მსურველთ მოკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 19 ნოემბერი.

—

საოცარი მდგომარეობაა დღევანდელის პოლიტიკისა ევროპაში. ვინც გუშინ ოსმალეთის განდევნას ევროპიდამ და მის დანაწილებას ნდომულობდა და ამისათვის არც ჯერს და არც ფულს არა ჰზოგავდა, დღეს იგი მაგრად სდგას იმაზე, რომ ამ მხრით ოსმალეთს ხელი არავინ შეახოს და ვინც გუშინ ესარჩლებოდა ოსმალოს და თავ-გამოდებული იბრძოდა და სისხლსა ჰღვრიდა, იგი დღეს სულ სხვა საგალობელსა ჰგალობს. გარდა ამისა, საიდაც-კი მიიხედავთ, ყველგან იძახიან, ეს ოსმალეთის არეულობა არავითარს შიშს არ მოასწავებსო. იტალიის მეფე ჰუმბერტი, ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრო-უნგრეთის მინისტრები, საცა-კი შეემთხვევა აქვთ, სულ იმას ჰღაღადებენ, რომ გულს წინადვე ნუ გაიხეთქთ, ყველაფერი მშვიდობიანად და უტყვია-წამლოდ, უთოფ-ზარბაზნოდ ჩაივლისო. ღმერთმა ჰქმნას ეგრე მოხდეს, ყველა კაც მოყვარე ადამიანი ამას ინატრებს.

ხოლო ამ მშვიდობიანობის ღაღადებასთან ერთად არც ის ამბები იმალავს თავს, რომ ოსმალეთში ხოცვა-ჟლეტაა და უფრო უარესს მოელიან. ეს მოლოდინია მიზეზი, თუ დიპლომატები მშვიდობსა ჰმალვენ და ისარს-კი ისვრიან,—ყოველის მხრით ისმის, რომ ყველგან დიდს მზადებაში არიან, ხმალსა ჰლესვენ და მშვიდობიანობას-კი გვარწმუნებენ. ინგლისი, იტალია, ავსტრ-ვენგრია და იქნება სხვანიცა იმას ჰცდილობენ თავიანთი ფლოტები იმ ფეხზე დააყენონ, რომ საცა და როცა დასჭირდეს, თოფ-ზარბაზანსაც ხმა ამოაღებინონ.

მართალია, დიპლომატიაში და პოლიტიკაში ტყუილს ფახი-ფუხს და მუქარას ხშირად თავისი ადგილი აქვს ხოლმე სხვის გულის გასახეთქათ, ხ.ოლო აქ საკითხავი ის არის: საომარს ხომალდებს რომ აძლიერებენ, ფლოტს რომ საომარ ფეხზე აყენებენ, ვინ ვის უხეთქავს გულსა? ნიშანში ვინ არის ამოღებული? არა გვგონია, რომ ნიშანში ოსმალო იყოს ამოღებული, რადგანაც იგი უამისოდაც გულგახეთქილია დღევანდელის ამბების გამო და უძლური ვისმე აურ-ზაური გაუწიოს. ერთი მკვახედ და გადაწყვეტილად შეთვლილი სარჩიელი და იმისი ჯანი! იგი კრინტსაც არ დასძრავს და ყურმოჭრილ ყმასავით დაემორჩილება რიხიან სიტყვას ევროპისას. ხოლო სად არის და რად გვიანდება ეს რიხიანი სიტყვა?

აქაც იგივე უცნაური ამბავია. არ არის დღეს ევროპაში არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომ თავ-მოწონებით არ იძახოდეს თავისის დიპლომატების პირითა, ევროპის სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა არისო; თვითეული დიდი სახელმწიფო იმ აზრზე სდგასო, რომ ურთიერთის თანხმობით და ყველამ ერთად იმოქმედოსო ოსმალეთის შესახებო. ამას ჰფიცულობენ ყველანი, მაგრამ ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. თუ ეგრეა მაშ საქმე რაღაზეა? რაღად იელიტება ამოდენა ქრისტიანე სული და არა—ქრისტიანე? რაღას ელიან? საქმე დღე და დღე მწვავდება, სისხლის ღვრა ძლიერდება, არეულობა ჰმატულობს, აღრევა და ერთმანეთზე წევა ამოღებულის ხმლით დღეს თუ ერთმანეთის დამოუკიდებლად, დაქსაქსულად, ცალ-ცალკე მოქმედობს, ხვალ. ხვალ-ზევით

---

## ფელეტონი

### ექლიანს გზაზედ.

(მოთხრობა).

შემდეგი*)

### VIII

მშვენიერი გრილი ივლისის საღამოა. დღის სიცხისაგან მოდუნებულ-მოუძლურებული ქ. ს—ის მცხოვრები გარედ გამოლაგებულა და ლაყბობა, სიცილ-ოხუნჯობაშია. ახალ გაზდათ-კი ისედაც მჩქეფარე სისხლის გასაგრილებლად ქალაქის გარედ მინდორ-ველი ამოურჩევიათ. ზოგი სეირნობს და სიამოვნებს წმინდა ჰაერით, ზოგი მოდუნებული მწვანე ფერდობზე გადათხლართულა და ალაზნის დიდებულს ველს დასცქერის. გრილი ნიავი, სიცხისაგან გაშოთილს ტვინსაც-კი ამუშავებს და ტკბილის ნეტარის ოცნებით ატკბობს. აგერ ერთს პატარა ფერდობზე რამდენიმე ახალგაზდა ქალი და კაცი მოგროვილა, ზოგი ზის, ზოგი მხარ-თეძოზე წამოწოლილა და ერთს სიცილ-ხარხარში არიან. ფერდობის შუაგულს მაღალ-მაღალი მოხდენილი ყმაწვილი კაცი სდგას, იქ მყოფთ გატაცებით რაღაც ამბავს უამბობს და შესაფერ მახვილობა-ოხუნჯობით უბრალო ამბავს სასიამოვნო სასმენადა ხდის.

— ასე ჩემო ბატონო, გამოამძიებელმა კაჭკაჭის მაგიერ კინაღამ თვის ამხანაგის გული-კი შუა არ გააპო, დაამთავრა ანდრო ჯიბაშვილმა ლაპარაკი და დასაჯდომად მოტრიალდა.

— მოიცა, მოიცა ანდრო, მიაძახა შორი-ახლო წამოწოლილმა ყმაწვილმა კაცმა. თუ ღმერთი გწამს, ერთი კიდევ გაიმეორე, როგორ გაისროლა თოფი?

— როგორა და, ჩვეულებრივ თოფი ასწია, დაუმიზნა კიდეც, კაჭკაჭს, რასაკვირველია, თოფი გავარდა და როგორ და რა ნაირად კაჭკაჭის მაგიერ ზურგს უკან სახლის აივანზე მდგომ მონადირის ამხანაგის ბარძაყსკი მოჰხვდა. ეს ისეთი გამოცანაა, რომ დიდი ბრძენიც-კი ვერას გზით გამოიცნობს... ანდრომ სიცილით დააბოლოვა სიტყვა. იქ მყოფთ ანდროს სიცილითვე ბანი მისცეს.

— აბა, კოტე, ეხლა-კი შენი ჯერია, მიუბრუნდა ანდრო ერთს სიმსუქნისაგან კისერ ჩამძვრალს, დამრგვალებულს ყმაწვილს.

— სადღა შემიძლიან ლაპარაკი, შე კისერ მოსატეხო, სიცილისაგან ისე დამოსე, რომ ძლივს-ღა ვქშინავ.

— კმარა ყმაწვილებო, ეხლა-კი დროა შინისკენ გავემგზავროთ, წამოიძახა ერთმა ქალმა. ყველანი ზლაზნით, ზარმაცად წამოიშალნენ. ფერდობის ზემოდ წამოწოლილს ქალს ადგომის დროს ფეხი დაუცურდა და წაბარბაცდა. ანდრო მიეშველა ქალს და ფეხზე წამოაყენა. ქალმა ანდროს მადლობა გადაუხადა და აჩქარებით დაედევნა ქალაქისაკენ მიმავალს ამხანაგებს. ანდრო ფეხ-და-ფეხ მისდევდა ქალს. კარგა მანძილი გაიარეს, როცა ანდრო მის გვერდზე მიმავალს ქალს უცებ შეეკითხა:

— მაშ ისევ ისე მიდის თქვენი საქმე?

— არა, თუმცა მეოთხე თვეა მოწაფეები მომემატა, მაინც არ შემიძლია ვსთქვა, რომ სკოლის საქმე კარგს ყოფაში იყოს, მიუგო თიკომ ანდროს.

— სულ რამდენი მოწაფე გყავთ?

— თორმეტი.

— მერე და თორმეტი ბავშვისათვის ამ ზაფხულის სიცხეში თვალებს იწყალებთ?

— ჩემი შრომა სათქმელი არც კია. არც თუ მოსწავლეთა სიმცირე ავნებს საქმის მსვლელობას, მხოლოდ საკუთარი ჩემი ხელ-მოკლეობა უხუთავს სულს. დრომდის თუ შევძელი და როგორმე ვაღონილე სკოლის არსებობა, იმედია თვით საზოგადოება სკოლის საჭიროებას ნათლად დაინახავს და დამეხმარება.

— თუ-კი რაიმე საჭიროებაა, რატომ საზოგადოებას არ მიჰმართავთ, რად გაჩუმებულხართ?

— საზოგადოებას მივმართო? მწარედ გაიღიმა თიკომ. თითქოს არა იცოდეთ-რა... განა ვინ ჩააგდო ჩემი სკოლა დღევანდელს ყოფაში? ჩვენმა პატივცემულმა საზოგადოებამ. თქვენ კი მირჩევთ, ხმა ამოიღეთ და საზოგადოებას მიჰმართეთო.

— მაშ რასა ფიქრობთ?

— მანამ უკანასკნელი ძალა და ღონე შემწევს, ცდას არ მოვაკლებ და როცა საქმის განგრძობა შეუძლებელი გახდება, მაშინ მეტი რა ღონეა სკოლა უნდა დავხურო. მიშველება

— რომ გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც თქვენს ხელ-მოკლეობას მიეშველება და შეძლებას მოგცემთ თქვენს საქმეს პირნათლად გაუძღვეთ?

— მერე სად და ვინ არის? განა თითონ თქვენ არა სთქვით, რომ ჩვენი ცხოვრება ისე უკულმართად დატრიალდა, რომ ყველას თავისი თავი სალოცველ კერპად გაუხდაო.

— მართალია, მაგრამ განა ქვეყნად კეთილი ადამიანი მთლად აღიგავა? თქვენ მხოლოდ თქვენი აზრი მითხარით, იქნება შესაძლებელი იყოს იმგვარი პირის პოვნა.

თიკო და ანდრო ლაპარაკით თიკოს სახლს მიუახლოვდნენ. თიკო სახლისაკენ გატრიალდა. ანდრო განგებ შესდგა.

— რად შესდექით, ყმაწვილო, მობრძანდით.

ანდრო სწორედ ამ სიტყვებს ელოდა. ნენეს ანდროს მისვლა ცოტა არ იყოს გაუკვირდა და თან გაუ-

*) იხ. „ივერია“ № 250.

მოსალოდნელია ერთს უშველებელ, გაერთებულ ცეცხლად გადაიქცეს და მოეკიდოს მთელს ოსმალეთსა და მაშინ ხომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობს. სად არის ეგ თანხმობა ევროპისა? სად არის ის კაცთ-მოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ ხოლმე დაჟინება პოლიტიკოსებს და დიპლომატებს და რომელიც მართლა რომ დედა-ბუძია იმისთანა ჩაგრულ ერისათვის, როგორიც საწყალი სომხები არიან დღეს ოსმალეთში? ნუ-თუ ერთი ერი სომხები მეორეს ოსმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაო და თქვენ ცოტანი ხართ და ჩვენ ბევრნიო და განათლებული ევროპა-კი უყურებდეს ამ უსამართლობას და იმით იწონებდეს თავს, რომ ჩვენ ყოჩაღად ვართ, ერთს პირზე ვდგევართ, საერთოდ და განუყოფელად გვსურს ვიმოქმედოთო. თქმა და ქნა ერთი და იგივე არ არის, შუა დიდი მანძილია.

სად არის ეგ საერთო და განუყოფელი მოქმედება? მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, სწორედ ეს არის. საქმე ის არის, რომ ეგ თანხმობა და ერთობილად მოქმედება ყინულზე დაწერილი თამასუქია, ჯერ ხანად ხელი ხელთ საგოგმანებელი. ოსმალეთის საქმე რთულ ინტერესების ამბავია. ზოგს დიდს სახელმწიფოს იმისთანა საკუთარი ინტერესები აქვს აქა, რომ არას გზით სხვა სახელმწიფონი ამას არ დაჰყვებიან და სხვა სახელმწიფოებს იგი არ დაეთანხმება. აი სად არის ჭირი დღევანდელის პოლიტიკისა. აი სად არის მისი ნასკვი, ჯერ ძნელად გამოსახსნელი. თუმცა ევროპა გვეფიცება, მაგრამ უეჭველია ჯერ იგი ერთს აზრზე არ დამდგარა. უეჭველია გარედ ერთს ჰლაპარაკობს და შინ-კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ჰფიქრობს და სხვა რიგად არის საქმე. ესე რომ არ იყოს, განა დასაჯერებელია, რომ მთელი ევროპა ერთს აზრზე იდგეს,—როგორც გვარწმუნებენ,—ერთსა და იმავეს ეტანებოდეს, და ოსმალო კი გაუჯიათდეს და ლობე-ყურეს ედებოდეს. ევროპა მართლა რომ ერთის რისამე მოწადინებული იყოს, განა ოსმალო გაუძლებდა, განა იგი ასე გააჭიანურებდა საქმეს და თვალის დახამხამების უმალ არ აუსრულებდა ერთობით გაძლიერებულს სურვილს. ოსმალეთს რა შეუძლიან მთელის ევროპის წინაშე? აკი ვამბობთ: ერთი რიხიანი სიტყვა ევროპისა და მაშინვე ენა მუცელში ჩაუვარდება ოსმალეთს შიშითა. საქმე ის არის, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის არც ერთობილი აზრია და არც ერთობილი სურვილი. აქ ზოგიერთს ეშო უჭირავს ხელში და ჰლამის თავისაკენ მოითალოს.

# ახალი ამბავი

—

*** ხვალ, საღამოს 8 საათზე, სასამართლო დაწესებულებათა შენობის დარბაზში მოხდება იურიდიულ საზოგადოების კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, ბ-ნი ფრენკელი წაიკითხავს საყურადღებო მოხსენებას, თუ რა და რა ეკონომიური მიზეზები იწვევენ ამიერ-კავკასიაში ავაზაკობას.

*** როგორც გავიგეთ, ქ-ნი ეფემია მესხისა ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში და მიიღებს მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში.

*** მოლითის სადგურიდამ იტყობინებიან, რომ ხშირი წვიმა და თოვლი მეტად უშლის ხელს მუშაობას. ადგილობრივ გაზეთებისო სიტყვით, ამ ჟამად გაფუჭებულ გზაზე 12 ათასამდე კაცი მუშაობს.

*** ხვალ, 20 ნოემბერს, ტფილისის საბჭოს ჩვეულებრივს სხდომაზე განიხილავენ, სხვათა შორის, ბ. შახ-აზიზოვის მოხსენებას იმ მამულების შესახებ, რომელნიც პრიკაზში იყვნენ დაგირავებულნი და წყალდიდობისაგან დაზარალებულ მეტივეთა თხოვნას. ამ სხდომაზედვე არჩეულ უნდა იქმნენ ქალაქის მოურავის მოადგილე და წევრები ალმასრულებელ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის უძრავ მამულების ხელახლავ დაფასება.

*** ბაღდადის გლეხების საზოგადოებას განუზრახავს გამოიწეროს სამი ათასი ამერიკული ვაზი, ისთვისაც სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელესთვის უთხოვნიათ დახმარება.

*** სიცივემ ტფილისში საგრძნობელად იმატა. გუშინ ტფილისის მიდამოები ჩამოთოვლა.

*** სამშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მორიგი სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებს და მოისმენს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენებას იმის შესახებ, რომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსდეს ბიურო, რომელიც უნდა მემამულეთ დაეხმაროს სამეურნეო ნაწარმოებთა გასყიდვაში. დასასრულ საბჭოს წევრნი იქმნებიან არჩეულნი. სხდომას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ტფილისში ყელჭირვებით ავადმყოფობა გავრცელდა. სამკურნალო საბჭომ დაავალა ამოქალაქო უწყების ექიმს სიფრთხილით ადევნოს თვალი იმ სახლებს, სადაც ზემოხსენებულ ავადმყოფობით არიან ავად.

ყვავილით ავადმყოფობაც არა კლებულობს. ოფიციალურ ცნობებიდამ სჩანს, რომ 8-დამ 16 ნოემბრამდე ათი გამხდარა ყვავილით ავად. ეს ავადმყოფობა უფრო ქალაქის ღარიბ ნაწილებში ვრცელდება.

*** 16 ნოემბერს, მიხეილის ქუჩაზედ, მელვინოვის ღვინის სარდაფში თავი მოიწამლა ყმაწვილმა კაცმა მ. თუმანოვმა, რომელიც გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში. მიზეზი თავის მოკვლისა სამსახურის უშოვნელობა ყოფილა. „თუ კაცს ბედმა დევნა დაუწყო, მისი სიცოცხლე აღარა ღირსო“, წერებულა იმ ბარათში, რომელიც მას ჯიბეში აღმოსჩენია.

*** გაძვირდა შაქარი, გაძვირდა პური, ნავთი, შეშა და უკანასკნელ დღეებში გააძვირეს ნახშირი და წარმოიდგინეთ მწვანილიც-კი. „წამწყმიდა წახდულობამაო“, წარმოვიდგინოთ, რომ ნავთისათვის და შაქრისათვის გზები გაფუჭდა, მაგრამ ნახშირის დაძვირება რაღა შუაშია, ჩვენ არ გვესმის. ნახშირი ხომ ტფილისის ახლო-მახლო სოფლებიდამ შემოაქვთ, სადაც გზები ისევ ისეთია ჯორცხენების სატარებლად, როგორც წინად იყო. ამის მიზეზი ტფილისელი ჩარჩები ყოფილან; ესენი თურმე ქალაქს გარედ ხუთ-ექვს ვერსზედ ეგებებიან სოფლელებს, ყიდულობენ მათგან ნაკლებ ფასად და მერე თვითონ ქალაქში ორ-აბაზიან ტომარას ექვს აბაზად და უფრო მეტად ჰყიდიან. რასაკვირველია, მეტია იმის თქმა, რომ ყურადღება მიექცეს ამგვარს გარემოებას მათგან, ვისაც ჯერ არს.

*** გამოვიდა მე X № ჟურნალ „მოამბისა“ შემდეგი შინაარსით: I „სანდრო წკვერტიაშვილი“.—ამბავი *** II „მშვიდობით!“—ნაწილი მეორე.—სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ—ლისა (გაგრძელება). III „ქარი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“.— ფსიხოლოგიური ეტიუდი შ. არაგვისპირელისა. IV „განთიადი“—რომანი ცუისა, თარგმანი თ. სახოკიასი (გაგრძელება). V «მხედარი.“—ლექსი ცახელისა. V „ცეცხლითა და მახვილითა.“—ნაწილი მეორე.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმ. გრ. ყ—ძისა (გაგრძელება). VII ლით-ავადმყოფნი.—ა. ბადრიძისა. VIII „მთიულეთი 1804 წელს.“ IX.—ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა, IX „რძე და მისი სხვა და სხვა გვარად გამოყენება.“—V. კარაქი და ერბო.—პროფესორის პეტრიაშვილისა (გაგრძელება). X „გრული დიალექტის ნათესაობა და დამოკიდებულება ქართულთან“.—ჭარაიასი. XI „თავადი რაფაელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა.—გრ. ყიფშიძისა.

ქრონიკა:

XII. „პროვინციის ცხოვრება.—ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების მომავალი და მათი საეპარქიო და სამაზრო ზედამხედველები“.—აბრამისძისა. XIII „განცხადებანი.“ დამატება: XIV „საქართველოს სიძველენი“.

*** სოფ. ჩიბათი (გურია): 15 ოქტომბერს, აქაურ საზოგადოებისა და ქუთაისიდამ ჩამოსულ სტუმრების თანადასწრებით, რომლებსაც შეუერთდნენ აგრეთვე სხვა სოფლებიდამ მოსული მასწავლებლები, მღვდლები, თავად-აზნაურობა და მრავალი ხალხი, ეკურთხა ჩიბათის ორ-კლასიანი სასწავლებელი. კურთხევის შემდგომ მღ. მოსე ჯორბენაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

*** სოფ. შიხეთი (გურია): არც ჩვენ მოგვივიდა საკმაო სიმინდი;

---

ხარდა კიდეც. ანდროს ისე შორიახლო იცნობდა, თუმცა იმის ქება ბევრისაგან გაეგონა და ისიც იცოდა, რომ ანდრო სანატრელ სასიძოთ ჰყავნდა ყველას მიჩნეული. ბევრს და მათ შორის ნენეს რძალსაც გარგაწყვეტილიც-კი ჰქონდა, რომ ანდრო სიძეთ გაეხადათ. ეს იცოდა ნენემ და უნებლიედ გაურბინა აზრმა. „იქნება ღმერთმა გადმომხედოს“? ეს აზრი წაიმძღვარა და გაფაციცებით შეუდგა სამოვრის აჩქარებას. მეოჯახე ნენემ კიდობანყუთების კუნჭულებში მიმალული ახალი და ზამთრის დარჩენილი ხილი ჩაის მოაყოლა. მასპინძლის სიამოვნებამ ანდრო გაათამამა და უკვე გარდაწყვეტილი იმედი ორკეცად გაუძლიერა.

— დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ გამოჩენილიყო ისეთი ადამიანი, რას იტყოდით-მეთქი? კარგა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ანდრომ თიკოს.

— ეგ რა კითხვაა? ის ადამიანი ორს კეთილს საქმეს იზამს. პირველი, რომ საკუთრივ მე ამაცდენდა სირცხვილს და მეორე თვით საქმეს უდროოდ სიკვდილს ააშორებს. ეს ისეთი ქველ-მოქმედება იქნება, რომ თვისს სახელს უკვდავს გახდიდა ამ პატარა სკოლის ისტორიაში.

— მაშ თქვენ სიამოვნებით იმ ადამიანს ხელს გაუწვდით?

— დიდის სიამოვნებით! ან განა რა უფლებით ვყოფ უარს უანგარო დახმარებას?

— გულ-წრფელად ამბობთ მაგას? დაეკითხა ანდრო და ისეთის თვალით შეჰხედა თიკოს, რომ თიკომ უნებლიედ თავი დაღუნა. თიკო სრულიად ვერ მიჰხვდა ანდროს სიტყვების მნიშვნელობას და წმინდის გულით უპასუხა:

— სწორედ, მაგრამ რატომ არ მეუბნებით ვინ არის ის?

— ვინა? მგონი ძნელი არ არის, რომ მიხვდეთ, მხოლოდ?..

— რა? სრულიად ვერ მივხვდარვარ.

ანდრო წამოდგა. ოთახში გაიარგამოიარა; უცებ თიკოს წინ შესდგა და გაბედვით დაიწყო:

— სულ მეტია იგავით ლაპარაკი. თქვენი ერთად-ერთი პატრონი საყვარელი დედაც აქა ბრძანდება და ნუ გამიწყრებით, რომ პირდაპირ გითხრათ. დიაღ, არის ადამიანი, რომელსაც ძალა და ღონე შესწევს დაგეხმაროთ, დაგიხსნათ ყოველს დაცინვისა და ცილიდამ, მხოლოდ... იმ პირს კარგა ხანია გადაწყვეტილი აქვს თქვენთან დაახლოვება. დაახლოვება დროებითი-კი არა, არა, სამუდამო-სიკვდილამდე. მზად არის ის პირი ცხოვრების ავ-კარგიანობას თქვენთან ერთად გაემკლავოს და თქვენს გულ-წრფელობას, წმინდა სურვილს და იმედებს შეუერთდეს. ეს პირი ამ წუთს თქვენ წინა სდგას და თქვენს ერთს სიტყვას ელის. იმ სიტყვაზე არის დამოკიდებული თქვენი საქმის მომავალი და ჩემი ბედნიერების ბედი.

ანდრო გაჩუმდა. შეჰხედა ჯერ ნენეს და მერე თიკოს დააშტერდა... ეს სიტყვები მეტად მოულოდნელი იყო. ანდრომ თიკოს გულის კუნჭულში ფრთხილად მიმალული ვანოსადმი გრძნობა შეატოკა და შორს, შორს გაიტაცა. ანდრო გაჩუმებულს თიკოს დაჰყურებდა, ელოდა, რომ სასურველი სიტყვა გაეგონა, მაგრამ ამაოდ, ამ წუთს თიკოს სული და გული შორს ვანოსთან იყო. სიჩუმით მოწყენებული ანდრო ნენესკენ მიტრიალდა.

— რაც სათქმელი მქონდა, დედი, ვსთქვი. ეხლა თქვენი ნებაა მიიღებთ თუ არა ჩემს სურვილს.

— ღირსიც არა ვარ შვილო! თიკოსათვისაც ეგ მოულოდნელი იყო და ასე უცებ ვერაფერი უთქვამს, უპასუხა სიხარულისაგან გაჭარხლებულმა ნენემ.

— მაშ, ხვალ, ხვალ-ზეგით იყოს. თუ ნებას მომცემთ, ხვალ სადამოთი გიახლებით.

— როცა გნებავდეთ მობრძანდით, ნუ მოგვერიდებით.

— მაშ ნახვამდის.

ანდრო ნენეს გამოეთხოვა და თიკოსკენ მიბრუნდა.

— ნახვამდის, ქ. ი. ხვალამდის.

თიკომ თავი დახრა და უნდობლად გაუწოდა ანდროს ხელი. ანდრო გახარებული გამოვიდა ქუჩაში და მხიარულის ღიღინით სახლისაკენ გასწია.

მარტოკა დარჩენილი დედა-შვილი კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად. ბოლოს ნენე მიუახლოვდა შვილს და ნელის ხმითა ჰკითხა:

— შვილო, რამ დაგაფიქრა? განა არ გიხარიან შვილო, რომ აქაურს ქალებს ყელები დასჭერი და თვალი მოსთხარე?

თიკო გასწორდა, და დედას მიუბრუნდა.

— წავიდა დედი?

— წავიდა, მე-კი ვთხოვე, რომ ხვალ სადამოთი გვნახე-მეთქი.

— მერე რად გინდა, რომ გვნახოს? რად იცი ხოლმე დაუფიქრებელი ლაპარაკი,

— რაებს ამბობ შვილო, როგორ თუ რად მინდა? ღმერთმა კარზე ბედნიერება მოგვავლინა და ხელი ვკრა?

განა არ მეყოფა რაც ვიტანჯე? ან განა შენ-კი არ გინდა მოისვენო, მეც მამასვენო და სიბერის დროს შენის კეთილის ცხოვრებით დამატკბო?

— რა ბედნიერებაა, რას ამბობ დედი? რად გავიწყდება, რომ მე სულ სხვა მიყვარს, სხვას ვეკუთვნი და არ შემიძლიან, ნებაც არა მაქვს, ანდროს გავყვე.

— როგორ თუ სხვას ეკუთვნი? მერე ვინ არის, რატომ არ მეტყვი? დედა-შენთან განა რა უნდა გქონდეს დაფარული.

— მაპატიე დედი! აქამდის თუ ვმალავდი იმიტომ, რომ მინდოდა ჩემის ბედნიერებით მოულოდნელად გამეხარებინე.

— თუ ჩემი გახარება გინდა, ანდროზე უარს რად ამბობ? განა მაგაზე ღირსეულს ვის შეირთავ?

— დედი გულმა, სიყვარულმა ღირსება, დიდება არ იცის. მე ვინც მიყვარს, შეიძლება ანდროზე უღირსიც იყოს, მაგრამ ჩემთვის-კი...

— მერე არ იტყვი ვინ არის?

—მითომ არ იცი! ვინ არის და ვანო.

ნენემ გაიღიმა და შვილს დაცინვით უთხრა.

— მკვდარი მკვდარს ეკიდაო, ხომ გაგიგონია შვილო! ვანო კარგი ბიჭია, მაგრამ საცოდავს თავისთვისაც არა აბადია-რა და ცოლის შენახვა სად შეუძლიან. მერე შენი საცოდავი დედა რად გავიწყდება; განა ვანოს ჩვენი შენახვა შეუძლიან. კარგა დაფიქრდი შვილო, ვანო და ანდრო ძლიერ შორს არიან. თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ჩემი უბედურება არ გინდა, ანდროს ხელიდამ არ გამომაცლი. არა, დედა გენაცვალოს, რაღა ჩემი დარიგება გინდა, შენც კარგად იცი, რომ ოჯახს დიდი მოვალეობა და გაძლოლა უნდა.

— ვიცი, ძლიერ კარგად ვიცი! დედი შენ გენაცვალოს თიკო, ნურას მეტყვი... მეყო, დედი, რაც ვიტანჯე, ერთად ერთს ბედნიერებას

თითქმის ნახევარი მცხოვრებლები ულუკმა-პუროდ დარჩნენ. ამ ბოლო დროს მომხდარ წყალდიდობისა გამო მრავალი გლეხი დარჩა ნაზარალევი; წყალმა მოსტაცა: საქონელი, წლის მოსავალი, თუ ვისმე რამ გააჩნდა, ავეჯეულობა და სხვანი. დღემდის წვიმა არ შემწყდარა,—მოდის დღე გამოშვებით. ხალხი დიდს გაჭირვებაშია.

*** სოფ. ისულა, (სენაკის მაზრა): გათავდა ჩვენსკენ მინდვრიდამ პირნახულის მოლაგება, მაგრამ რა გამოვიდა. სიმინდი, ღომი და სხვა ყოველივე წარსულ წლებზე ნაკლები მოგვივიდა. დიდი ღვთის წყალობა იქნება, თუ წრევანდელმა მოსავალმა ოჯახი გამოკვება. რითი და როგორ გავუძლევეთ ოჯახის და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას? წელს აქეთ სამჯერ დავთესეთ სიმინდი, მაგრამ დაუნდობელი მდ. ტეხურა სამჯერ გადმოვარდა და დათესილი ყანები წალეკა. ეხლაც, 28 ამ თვეს, ისეთი წვიმა იყო, რომ ცა თავზე გვენგრეოდა. ადიდდა ტეხურა, გადმოვიდა ნაპირებიდგან, სახლი და ეზო-კარი ზღვას დაემზგავსა. მადლობა ღმერთსა, ადამიანი არ უმსხვერპლია, მაგრამ საერთოდ ყველას-კი დიდი ზარალი მისცა. ავდრებისა გამო სიცივეები სდგას ახლა აქეთ.

ბ-ნი მაზრის უფროსის ქავთარაძის განკარგულებით სოფ. ისულიდამ ახალ-სენაკამდე მშვენიერი გზა-ტკეცილი კეთდება. მით უმეტეს სასიხარულოა, რომ აქაური გზა სწორედ ისეთი ჯოჯოხეთი სავალი იყო, რომ დაბადების დღეს აწყევლინებდა კაცსა.

*** ახალ-სენაკი: ეს ათი დღეა, რაც ბუნებამ ფერი იცვალა. აქამდის სწორედ სანატრელი ამინდები იდგა, ეხლა-კი დღე და ღამე ცას პირი ჩამოსტირის. 27 ოქტომბერს დიდი წვიმა იყო და მდინარეებიც გადავიდნენ ნაპირებიდგან. 28-ს ქუხილით და დასავლეთის ქარით წვიმდა, რომელმაც ხალხი ძალიან შეაშინა და ამბობდნენ: „წარღვნა მოახლოებულა“-ო. ჰაერიც საკმაოდ აცივდა.

ახალ სენაკსა და სოფ. მარტვილს შუა დილიჟანი (ომნიბუსი) დადის. სწორედ სასიამოვნოა ეს გარემოება, რადგანაც მიმოსვლა გაადვილდება.

## კორესპონდენცია.

**საჩინო**, 2 ნოემბერს. მიმდინარე წელიწადი რაღაც უბედურ ვარსკვლავზე დაუდგა ამ ჩვენ მიყრუებულ კუთხეს. ერთად-ერთი საშუალება, მკვიდრთათვის სიმინდისა და ღვინის მოსავალი ამ წელში ერთობ შემცირდა. სიმინდის მოსავალი კიდევ ჰო, თუ ეკონომიურად მიჰყვა კაცი და ჩარჩ-ვაჭრებმა „ათ-ოყიანი ბათმნით“ (კანონიერი ბათმანი 6½ ოყაა ე. ი. 20 გირ.) სამ შაურად არ ჩაიგდო ჩვეულებრივ ხელში გაჭირვებული ხალხისაგან, ახალ მოსავლამდის გამოიკვებავს ხალხი თავს. ორთა შუა რიცხვით სიმინდი საკმაოა, ბევრს ორი წლის სარჩოც მოუვიდა, მაგრამ იმავე დროს ბევრს ნახევარ წლამდისაც არ გასწვდება სარჩო. ღვინომ-კი ერთობ გვიღალატა, ასე რომ საპალნის ადგილზე ჩაფიც არ მოსულა, და ისიც მჟავე და უვარგისია. ასეთი მცირე მოსავალი ღვინისა პირველია საჩინოში. მოუსავლობის მიზეზს ივლისის და აგვისტოს გაუსხლეტელ წვიმებს და სიცივეებს აბრალებენ. ამას უხსოვრის დროიდამ უჩვეულო და ფრიად საგრძნობელი ზარალი დაერთო კიდევ.

ოქტომბრის 28 საღამოიდამ, 29, 30 და 31 შუადღემდის კოკისპირული გაუწყვეტელი წვიმა მოდიოდა. ამ წვიმების მიზეზით ყოველი მდინარე, საჩინოში თუ მის შორი-ახლო, მაგ. რიონი, ყვირილა, ხანის წყალი, კვინის წყალი, სულორი, ყუმური და სხვა ბევრი პატარა მდინარეები საოცრად ადიდდნენ და შეერთებული ძალით ერთ დიდ სტიქიონად გარდაიქცნენ და რაც წინ დახვდათ, ყველაფერი წალეკეს. არ დარჩენილა ისეთი მოსახლე, რომ დიდი ზარალი არ მისცემოდეს. ბევრი სულ დალუპა ამ წყალ-დიდობამ, სახლ-კარი აუყარა და წაართვა, ბევრს სავსე სასიმინდეები მოსტაცა! ზოგს პირუტყვი: ცხენი, ხარი და ძროხა მოსტაცა და დაურჩო.

საჩინოდამ დასავლეთით რიონის პირად მდებარე სოფლებში—ჭყუშში და ტობანიერში უფრო დიდი ზარალია; მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, რადგან მიმოსვლა, იმავე წყალ-დიდობის მიზეზით, შეუძლებელია. გზები და ხიდები მაინც არ იყო ხეირიანი და ეხლა სულ მოსპობილია, წისქვილი არსად აღარ მოიძებნება, რომ ხალხმა სიმინდი დაფქვას და იძულებულია მოხარშული სიმინდი სჭამოს მჭადის მაგივრად. ნავების ხსენება რიონზე ხომ სულ აღარაა, ერთი სიტყვით ამ გასაკვირველმა წყალ-დიდობამ საშინელი ზარალი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. თუმცა დაწვრილებით არ ვიცით ჯერ მთელი ზარალი, მაგრამ რომელიც ზემოდ ჩამოვთვალეთ, ისიც კმარა. არ ვიცი ჯერ კიდევ კაცი დაირჩო ვინმე თუ არა? რიონის პირად ჭალებში აქა-იქ არიან მოსახლეები, წყალ-დიდობის დროს შორიდამ მოსჩანდა მხოლოდ მათი სახლების სახურავები. ჯერ კიდევ ირგვლივ წყალში არიან ჩამწყვდეულნი (თუმცა-ღა წყალი-კი დავარდა) და ვერ შევიტყვეთ დაირჩო ვინმე იმათგანი თუ არა?!.

თეონა.

1895 წ., 2 ნოემბერს.

**ს. სადახლო.** ეს სოფელი მდებარეობს ბორჩალოს მაზრაში, ტფილისიდგან 60—65 ვერსის სიშორეზე. ამ სოფლის მცხოვრებს შეადგენენ თათრები და რამდენიმე მეკომური ქართველი თავადიშვილი. ეს სოფელი თითქმის სრულებით მიყრუებული იყო აქამდის. მეტადრე მიყრუვდება ხოლმე ზაფხულობით, როდესაც თათრები მთაში გაიხიზნებიან, ეხლა-კი, როდესაც ყარსის რკინის გზის კეთებას შეუდგნენ, მთლად გამოიცვალა ეს სოფელი. მოიყარა თავი დიდძალმა მუშამ, რადგანაც მოიჯარადრე ინჟენერ ბელობოროდოვს აქ აქვს თავისი კანტორა. მოიყარა თავი აგრეთვე მრავალმა მოსამსახურე ხალხმა და ინჟენერებმა. ამ გარემოებამ გავლენა იქონია აქაურ თათრებზე: დაუწყეს გასუფთავება თავიანთ ბოსლებს, რომელსაც მუშა ხალხს თვეში 5—6 მანეთ ნაკლებ არ უთმობენ. არც თავადიშვილები ჰკარგავენ დროს: ააშენეს ზოგიერთებმა რაღაც ქოხმახები და საწყალ მუშა ხალხს თვეში 10—15 მან. აძრობენ. სადგურის ადგილის დამტკიცებამ დიდი მითქმა-მოთქმა დაჰბადა აქაურ მემამულეთა შორის. ყოველი მათგანი ცდილობდა სადგური თავისს მამულში მოექცია. სადგურის ადგილი ორგან იყო დანიშნული, ერთი 1½ ვერსის სიშორეზე ს. სადახლოდგან ბ. წურინოვის მამულში და მეორე თავ. გ. აფხაზის მამულში. ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ სადგურის ადგილი დაამტკიცეს თავ. გ. აფხაზის მამულში. სადგურის შენებას-კი ჯერ არ შესდგომიან, მაგრამ საცხოვრებელი სახლი-კი მოსამსახურე ხალხისა და მუშისათვის უკვე ააშენეს, სადგურის მახლობლად იჯარით აღებულ ადგილზე. გზის მუშაობა ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. თუ ზამთარმა არ დაუშალა, იმედია, რომ მომავალ მარიამობის-ენკენისთვემდის მატარებელი უკვე მოიგუგუნებს სადახლოს.

ამინდი ჩვენში მშრალი და თბილი იყო აქამდის. 9 ამ თვისას სრულებით მოულოდნელად წამოგვიშინა სეტყვამ, რამაც, ცოტა არ იყოს, შეაწუხა მუშა ხალხი, რადგან ისედაც ნოტიო მიწური სადგურები უფრო დაუნოტიოვა. ახლა ისევ მშრალი ამინდებია, თუმცა ამ ორ დღეში დილაობით საშინლად ჰყინავს ხოლმე.

კიკოლიკა.

ჩვენ მოგვივიდა შენიშვნა ღრმად პატივცემული კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილისა, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ:

„აგერ ერთი წელიწადია ყურს ვადევნებ გაზეთ „მეურნის“ გამოცემას და სიამოვნებით ვხედავ, რომ ეს გაზეთი ღირსეულად ასრულებს თავის დანიშნულებას. ცნობიერად, ცოდნით და აწონვით არჩევს იმგვარს თარგმანებსა და ორიგინალურს წერილებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ დიდი მნიშვნელობა ჩვენის მიწათ-მოქმედი ხალხისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართლ-კახეთში სულ სამი თუ ოთხი ხელის მომწერის მეტი არა ჰყოლია, მაშინ, როდესაც ამგვარი გაზეთი ყოველი სოფლელი მეოჯახისათვის აუცილებელი საჭიროა. ამავე დროს სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ იმერეთში, ესე იგი ქუთაისის გუბერნიაში, ჰყოლია ხუთასამდე ხელის-მომწერი. გულ-წრფელად ვურჩევ სოფლის მეოჯახეთა და მიწათ-მოქმედს საზოგადოებას მიაქციონ ზემოხსენებულს გაზეთს „მეურნეს“ ყურადღება“.

დიაღ, საგულისხმო რჩევაა და სამწუხაროა, რომ საქართველოს მეორე ნახევარში, მხოლოდ სამი ხელის-მომწერი ჰყოლია „მეურნეს!“

---

ნულდარ მომაკლებ. ვანოს ვეკუთვნი და სხვას ჩემი ხელის შეხება არ შეუძლიან.

— მეც ისა მკლავს შვილო, რომ ჩვენი ტანჯვა-საცოდაობა დაუსრულებელია. გარწმუნებ შვილო, რომ ვანო ვერაფერს გვიშველის.

— კმარა დედი... თიკო სწრაფ წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, მიუჯდა მაგიდას და აჩქარებულად წერილის წერა დაიწყო. წერილში ვანოს დაწვრილებით აუწერა სკოლის დღევანდელი ყოფა, იმის გამობრუნების შეუძლებლობა. სთხოვდა შენი უკანასკნელი სიტყვის აღსრულებას, რაც შეიძლება დაეშურეო. აჩქარების მიზეზად ანდროს წინადადება მისწერა: „შველა არსაიდამ არის, მხოლოდ შენი აზრის განხორციელება-ღა დამიხსნის ორ-გვარ ღალატიდამ... დედა არ მასვენებს, თუმცა მე-კი ვგრძნობ სკოლის საქმის უკეთ მოწყობა შემეძლება, მაგრამ ჩემო ვანო! შენ, შენ გიღალატო? ღმერთმა მაშოროს. მოუთმენლად ველი ამ წერილის პასუხს ჩქარა, ჩქარა“...

თიკომ წერილი ფრთხილად დაკეცა, სავარძლის ზურგს მიეყუდა და თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ რა დაემართა თიკოს? მთელი სხეული საშინლად აუცახცახდა. გული ისე ძლიერად უცემდა, თითქოს ბუდიდამ გადმოვარდნას ლამობსო. უცებ რაღაც მწვავე ჟრუანტელმა ელვასავით დაურბინა. სისხლი გულზე მოაწვა და სუნთქვა შეეკრა. ასადგომად წამოიწია, მაგრამ წაბარბაცდა და იქვე ტახტზე გადიქცა. ბედზე ნენე რაღაცისათვის ოთახში შემოვიდა, ტახტზე გადათხლართული შვილი დაინახა და შეშინებული მიჰვარდა.

— რა იყო შვილო?

თიკო ხმას არ იღებდა. ნენემ ხელდა-ხელ საწოლთან მიიყვანა ახალგაზდა ქალი.

— ვიწვი დედი! წყალი! წამოილუღლუღა თიკომ.

ნენემ წყალი დაალევინა, საჩქაროდ ძმარ-წყალი გააკეთა და გავარვარებულს შუბლსა და გულზე სველი ცივი ტილოები დაადო.

თიკოს საშინელი სიცხე მისცა. ნენე მთელი ღამე გვერდიდამ არ მოჰშორებია და გამშრალს ტილოებს უცვლიდა. მეორე დღეს სიცხე გამოჰნელდა, მაგრამ მაინც უგემურადა გრძნობდა თავს და ლოგინიდამ არ ადგა. წერილი მოაგონდა, ბიჭს გაატანა და დედას უთხრა.

— დედა, არ შემიძლიან და თუ მოვიდეს ვინმე, ნუ მიიღებ.

— კარგი შვილო! მკურნალს არ შევატყობინო?

— რად მინდა? საიმისო რა მჭირს; გუშინ გავცივდი, ოფლს მოვიხდი და გაივლის.

### IX.

ათი დღე ლოგინიდამ არ ამდგარა თიკო. ანდრო ყოველ-დღე მოდიოდა და ნენეს თიკოს მდგომარეობას ჰკითხავდა. ნენეს პასუხი თითქოს არ აკმაყოფილებდა ანდროს და სადაც-კი მკურნალს შეჰხვდებოდა, მაშინვე თიკოს ამბავს ჰკითხავდა.

— ეხლა აღარა უშავს-რა, მხოლოდ ძლიერ უნდა გაფრთხილდეს, რომ არ გაცივდეს და ხელ-მეორედ არ დაუბრუნდეს ანთება, უკანასკნელს კითხვაზე უპასუხა მკურნალმა ანდროს. თიკო მართლა გამობრუნდა. ლოგინი აილაგა-კი, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდა. ახალგაზდა ბუნებამ ძლიერს ავადმყოფობას დასძლია, თუმცა-კი საკმაოდ მოქანცა, მოღალა... არც თუ თიკოს სულიერი მდგომარეობა იყო კარგს ყოფაში. აგერ მეოთხე კვირა გადიოდა და ვანოსაგან წერილის პასუხი არ მოსდიოდა. რაც დღე, საათი, წამიც-კი გადიოდა, თიკო თან-და-თან ჰკარგავდა იმედს და ვანოს ერთგულებაზე შეპარული ეჭვი მისდა უნებურად უძლიერდებოდა.

რაკი ნენემ შვილს გამობრუნება დაატყო, მცირე შემთხვევასაც-კი არა ჰკარგავდა და შვილს ანდროზე ელაპარაკებოდა ხოლმე. მუქარა-ვედრება-ცრემლით ცდილობდა დედა, რომ შვილი დაერწმუნებინა და დაეთანხმებინა. გასჭრა დედის წუწუნმა. ავადმყოფობის დროს დათხოვნილი მოწაფეები სკოლას მთლად შემოეფანტა... უსაქმოდ დარჩენილი თიკო თავისს დარდს და მდგომარეობის გამორკვევას შეუდგა. გამოურკვეველმა ყოფამ, ყოველდღიურმა გაჭირვებამ წყალ-წაღებულის მდგომარეობაში ჩააყენა თიკო და დედის სურვილს დაათანხმა კიდეც, მხოლოდ გადაჭრილს პასუხს ვანოს წერილის მოლოდინის გამო აგვიანებდა.

უნიავო თბილმა საღამომ თიკო აივანზე გამოიტყუა. თიკო დაფიქრებული აივანზე დადიოდა, როცა ქუჩაზე ფოსტის ეტლმა ჩამოიარა. ფოსტის ეტლის დანახვამ თიკოს გული სიამოვნებით აუძგერა. „იქნება წერილი მომივიდა“? გაიფიქრა თიკომ, ოთახში შეტრიალდა, თბილად ჩაიცვა და ფოსტის სადგურისაკენ გასწია...

გულ-ჩათხრობილი, ხელ-ცალიერი დაბრუნდა თიკო ფოსტის სადგურიდამ. „არა, დამივიწყა, ჩემთვის აღარა სცალიან! ღმერმა უკეთესი ბედნიერება მიანიჭოს. რაკი პირადი ბედნიერება ასე მალე მომესპო, ჩემს საგანს მაინც არ ვულალატებ. ანდრო შემწეობას მპირდება! ვანოც ხომ მეუბნებოდა, საზოგადო საქმეს, თუ საჭირო იქნება, პირადი ბედნიერება უნდა შევწიროთო“. ფიქრობდა თავისს თავად თიკო და ნელის ნაბიჯით სახლისაკენ მოდიოდა. მიმავალს თიკოს შუა ქუჩაზედ წამოეწია ანდრო...

— საღამო მშვიდობისა! მომილოცავს ავადმყოფობისაგან განთავისუფლება. ღიმილით მიესალმა ანდრო. თიკო შესდგა, მადლობა გადაუხადა და ხელი გაუწოდა. მცირე სიჩუმის შემდეგ ანდრომ დაბალის ხმით უთხრა.

— ეხლა-კი იმედია ჩემს წინადადებას კარგად ასწონ-დასწონდით. მაშ რაღადა ვკარგავთ დროს, მითხარით პასუხი.

— თანახმა ვარ, მხოლოდ... ნელის ხმით უპასუხა თიკომ და დედამიწას დააშტერდა.

— მხოლოდ? გახარებულმა განიმეორა ანდრომ.

— თქვენი პირობა არ დაივიწყოთ.

— ხა, ხა, ხა, გადიხარხარა ანდრომ. მეც რომ დავივიწყო, განა ოჯახში თქვენც ისეთივე უფლება არ გექნებათ? მაგაზე ლაპარაკი ჩემის აზრით სულ მეტია.

ლაპარაკით თიკო და ანდრო სახლს მიუახლოვდნენ. ნენეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თიკოს თანხმობა, რომ შეიტყო. ნენე გიჟსავით დარბოდა ოთახებში, სამზარეულოში. მსახური პატარა ბიჭი ნენეს უთავ-ბოლო ბრძანებამ მთლად გამოაშტერა. სასურველი სიძე ვახშმად ჰყვანდა და ცდილობდა რიგიანად გამასპინძლებოდა.

(შემდეგი იქნება.)

## ქართველთა საყურადღებოდ.

სოხუმის ქართველობა უმორჩილესად სთხოვს ყველა ქართველს, რომელსაც კი შესტკივა გული ჩვენის მწიგნობრობისა და ენისათვის, დახმარება აღმოუჩინოს და მიაწოდოს საკითხავი წიგნები საზოგადო წიგნთსაცავისათვის, რომლის ნება როთვა მთავრობისაგან უკვე მიღებულია.

ადრესი: П. Каландаришвили — и Т во. г. Сухумъ.

P. S. ვსთხოვთ უმორჩილესად სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩვენი თხოვნა.

## ზოგიერთი შენიშვნა ქართული ენის ეტიმოლოგიის შესახებ *).

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით სიტყვებს: ბუნებური, კაცებური, ღვთაებური და სხ. ჩემი ფიქრით, ეს მიუტევებელი შეცდომაა. დაბოლოება ებური ემატება მხოლოდ ნათესაობით ბრუნვას; მაგ.: ბუნებისებური, კაცის-ებური, მაიმუნის-ებური, ჭავჭავაძის-ებური, აკაკის-ებური, ჩემ ებური (ჩემი ნათესაობითი ბრუნვაა სიტყვიდან: მე), ჩვენებური (ჩვენიც ნათესაობითი ბრუნვაა სიტყვიდან ჩვენ) და სხ. და სხ.

ხშირად შეხვდებით აგრეთვე შემდეგნაირ კონსტრუქციას: იგი ლაპარაკობს დემოსთენსავით, მაიმუნი მოიქცა კაცსავით და სხ. ესეც დიდი შეცდომაა. ხალხი უმეტეს ნაწილად ასე ლაპარაკობს: იგი ლაპარაკობს დემოსთენავით, მაიმუნი მოიქცა კაცავით, იგი გაბერილა კოლოტივით და სხვ. ეს უფრო თანახმაც არის მართლწერისა და უფრო ადვილი სათქმელიც. როცა არსებითი სახელი ი-თ არ ბოლოვდება, მაშინ-კი დაბოლოება ვით ემატება მიცემითს ბრუნვას. მაგ. თხასავით, ხესავით, ბალოსავით და სხ. თუ რად იქცევა ასე ხალხი, ამის გამოცნობა სხვებისთვის მიმინდვია. მე აღვიარებ მხოლოდ ფაქტს. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ. როდესაც ზმნა ბრუნვას თხოულობს, მაშინ-კი არსებითი სახელი, ვითაც რომ იყოს დაბოლოებული, მიცემითს ბრუნვაზე უნდა იდგეს; მაგალითად: მე იმას ძაღლსავით არ ვაგდებ, ე. ი. არ ვაგდებ, ვითარცა ძაღლს.

დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე: ჩვენის სოფლის შემოსავალი, ლამაზის ქალის სიცილი და სხ. არ ვიცი, რა უფლებით უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში ზედ-შესრულ სახელს სრული დაბოლოება ნათესაობითი ბრუნვისა ის. კიდევ მეტი შეცდომა არის სულ მოკვეცა დაბოლოებისა: ჩვენ სოფლის, ლამაზ ქალის და სხ., რადგან ამ შემთხვევაში ზედ-შესრული სახელი მიცემითს ბრუნვაშია და არსებითი ნათესაობითში, და, მაშასადამე, სრულიად ისპობა ის შეურყეველი პრინციპი, რომელიც ყველა ენებში, სადაც-კი ბრუნვებს თავ-თავისი დაბოლოებანი აქვთ, უთუოდ თხოულობს, რომ ზედ-შესრულსა და არსებითს სახელებს შორის სრული ბრუნვითი თანხმობა სუფევდეს. რაიცა შეეხება ფორმას: ლამაზის ქალის, კეთილის კაცის და სხ., იგი მიტომ უნდა უარ-ვყოთ, რომ ხალხი არსად არ ამბობს ასე: კეთილ-ხმოვანებისათვის ხალხმა მოკვეცა ზედ-შესრულ სახელს დაბოლოება „ს". ამგვარად ხალხი ახლაც-კი ეგრევა ზოგიერთ სიტყვებს, სადაც „ს"-ი უთუოდ უნდა იყოს; მაგ.: მაგითვის, მაგისთვის მაგიერ და სხ.

შეიძლება ამაზე მიპასუხონ, რომ სრული დაბოლოება „ის" საჭიროა, რომ უკეთ შევიტყოთ, რომელ არსებით სახელს ეკუთვნის ზედ-შესრული სახელი, ე. ი. ორ აზროვანობის ასაცდენადაო. მაგრამ ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვ. ევროპიული ენები წარმოგვიდგენენ ჩინებულ მაგალითს, როდესაც ზედ-შესრულ სახელებს ზოგან სულ არა აქვთ და ზოგან მხოლოდ ზოგ ბრუნვებში ბრუნვითი დაბოლოებანი; მიუხედავად ამისა ორ-აზროვანობა სრულიად არ აბრკოლებს მათ. საქმე ის არისო, რომ ამ შემთხვევებში მკითხველი აზრით მიხვდება ხოლმე, რა რას ეკუთვნის.

ვ. წ.

კიევი, 1895 წ., 10 ნოემბერი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც საგანი წერილისა ღირს შესანიშნავია, თუმცა ავტორისაგან ვერ არის საკმაოდ დასაბუთებული. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში საუბარს გამოიწვევს საგანი წერილისა და იქნება ამ გზით რამე დასაბუთებული გამოირკვეს.

რედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ყველას მოეხსენება, რა სახელი აქვს მთელს ევროპაში და ნამეტნავად საფრანგეთში ერთს სიმღერას, რომელსაც „მარსელიეზას" ეძახიან და რომელიც საერო საგალობელია მთელის საფრანგეთისა. რა გინდ დიდი, თუ პატარა საერო ამბავი მოხდეს საფრანგეთში, არც ერთი უიმისოდ არ ჩაივლის, რომ ეგ საერო საგალობელი არ იმღერონ, ან არ დაუკრან. ისეც გულსწრაფი და გულ ფიცხი ფრანგი ამ საგალობელის გაგონებაზე უფრო გაფიცხდება და აინთება ხოლმე. ეგ საგალობელი შეთხზულია დიდ რევოლიუციის დროს, მისი ავტორი არის რუჟე დე-ლილი. საფრანგეთის გენერალი ტიებო, რომლის წერილები დაიბეჭდა და რომელიც ყოფილა დამსწრე რევოლიუციისა, ასე მოგვითხრობს ამ საგალობელის შეთხზვის ვითარებას, რომელიც გაუგონია თვით რუჟე დე-ლილისაგან. რუჟე დე-ლილი ყოფილა უმცროს აფიცრად სტრასბურგში სწორედ იმ დროს, როცა მარშალი ლიუკნერი ლაშქარს აგროვებდა. ერთს საღამოს, როცა ლიუკნერს ბევრი სტუმარი ჰყოლია და წვეულობა ჰქონია, დაუწყიათ საუბარი იმაზე, რომ საჭიროაო ერთი იმისთანა რამ მოვიგონოთ, რომ ჯარს გული გავუკეთოთ, ვაჟკაცობა გავუძლიეროთ და ცოტა არ იყოს თვით მკვიდრნიც შევახუროთ, შევაფიცხოთო. სტრასბურგის მერი, რომელიც წრესგადასული რევოლიუციონერი იყო, უეცრად მიჰბრუნებია რუჟეს და უთქვამს: „გამიგონე, ახალგაზდა მამული-შვილო, პოეტო და მემუსიკევ, ერთი სიმღერა რამ შეგვიდგინე იმისთანა, რომ საგალობელი იყოს ყველგან, ბაზრებში, ჯარის კაცთა სადგურებში, ქალაქებში და სოფლებშიო." ამისთანა თხოვნა რევოლიუციონერისა იმ დროს ბრძანებაზე უარესი იყო. რუჟე მაშინვე წასულა, ჩაკეტილა თავისს ოთახში, აუღია ჭიანური (Скрипка), ხმა შეუწყვია და დაუწერია საგალობელი. ამ საგალობელს პირველად ჰრქმევია „მარში ლიუკნერისა." რადგანაც ძალიან მოსწონებიათ, დაუბეჭდიათ «სტრასბურგის გაზეთში». ამ გაზეთს მარსელში მარტო ერთი ხელის მომწერი ჰყოლია და თავდაპირველად მარსელელებს დაუწყვიათ მისი გალობა; ამ სიმღერით შეჭსევიან პარიზს მარსელის რევოლიუციონერები და აქედამ დაჰრქმევია სახელად „მარსელიეზა." (ვ. ინ. ლ.)

— ასტრონომები დიდის მეცადინეობით თვალ-ყურს ადევნებენ მზესა ამ ბოლოს ხანებში და ჰლამიან ამ უცნაურ არსებისა შეიტყონ რამე დაბეჯითებით. ეს მეცადინეობა მით უფრო გაძლიერებულია დღეს, რომ მზე ამ ბოლოს ხანებში დიდს მოქმედებაშია. ასტრონომებს დიდიხანია დაბეჯითებით გამოანგარიშებული აქვთ სიდიდე და სიმძიმე იმ უშველებელ მნათობისა, რომელიც ჩვენ გვაცოცხლებს, გვინათებს და გვათბობს. იმათის ანგარიშით გამოდის, რომ მზე ჩვენს დედა-მიწაზე დიდია მილიონ-ორას-ოთხმოცდა-სამი ათასჯერ (1,283,000) და სამას-ოცდა-ოთხი ათასჯერ უფრო მძიმე. დიამეტრი მზისა (ესე იგი სიგძე გულისა) ას რვაჯერ მეტია დედა-მიწის დიამეტრზე. ყველა ეს დიდის სიფრთხილით და ანგარიშით ბევრჯერ არის შემოწმებული და ამიტომაც უეჭველ ჭეშმარიტებად მიღებულია დღეს მეცნიერთაგან. აგრეთვე დამტკიცებულია, რომ დედა-მიწისა და მზის შუა ას-ორმოც-დაცხრა მილიონი კილომეტრია (კილომეტრი ცოტა ნაკლებია ვერსტზე). დედამიწიდამ რომ მზემდე რკინის გზა იყოს და თითო საათში ორმოც-და-თვრამეტს ვერსტს აკეთებდეს, მზემდე მისვლას მოუნდებოდა ორას ოთხმოც და სამი წელიწადი. მოდით და წარმოიდგინეთ ან ამისთანა სიდიდე, ან სიმძიმე, ან სიშორე!...

მზე, ეს უშველებელი ბურთი იმისთანა წარმოუდგენელი კერაა ცეცხლისა და სიცხისა, რომ ისე ახლო იყოს დედა-მიწაზე, როგორც, მაგალითებრ, მთვარეა, დედა-მიწა თვალის დახამხამების უმალ დადნებოდა. ეს ისეთი წარმოუდგენელი სიცხეა, რომ ამ სიცხეს მიჩვეული სულ-დგმული ადუღებულ თუჯში მოექცეს, სიცივისაგან გაიყინებაო.

დღეს თურმე მზეზე ერთი ყოფა და ამბავია. რაღაც ლაქები აჩნდება იმოდენად დიდრონი, რომ ოთხჯერ, ხუთჯერ და ექვსჯერ უფრო უდიდესია დედა-მიწაზე, სანთელზე გაშავებულ მინით შეიძლება ამის დანახვა. გარდა ამისა ერთი საშინელი ცეცხლის ფრქვევაა თურმე, ასე რომ იმისი ალი ხუთასიათას-ექვსასი-ათას ვერსტის სიმაღლეზე ადის და მზის სხივოსან ატმოსფერაში დადის ვარცლის ყურის ლოკებლები ისეთის ბრწყინვალებისა, რომ კაცს თვალი უბნელდებაო. თუმცა მზე დედა-მიწაზე უშველებელ მანძილზეა შორს, მაგრამ დედა-მიწაც-კი ჰგრძნობს ამ ძლიერ მოქმედებას მზისას. ეგრედ-წოდებული „დედა-მიწის მაგნეტიზმი ცვალებადობაშია. როცა მზეზე ლაქადა ალია ხოლმე, ამასთან კომპასის ნემსი (Стрѣлка) ტოკვას, ქანებას და თამაშობას დაიწყებს მოულოდნელად და უცნაურად, ცაზე ატყდება ხოლმე ეგრედ-წოდებული ჩრდილოეთის ციმციმი, ტელეგრაფიც ხშირად ეღარ ჰმუშაობს. (ვ. ი. ლ.)

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ახალმა სამინისტრომ, სხვათა შორის, აღნიშნა თავისს დეკლარაციაში, რომ შეიმუშავებს კანონ-პროექტს, რომლითაც ზოგიერთ საქმეთა გამოძიება საჯაროდ უნდა მოხდეს ხოლმე. სასჯულოსაქმეთა მინისტრი უკვე შეუდგა ამ პროექტის შემუშავებას და მოკლე ხანში სენატს წარუდგენს განსახილველად.

—

რვა ნოემბერს პარიზში კრება ჰქონდათ ეგრედ წოდებულთ „მთავრობის რესპუბლიკანელთ". კრებას დაესწრო ორას კაცამდე. სხდომამ განიხილა ახლანდელი შინაური პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთისა. მინისტრად ნამყოფმა რეინალმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ზომიერი რესპუბლიკელნი წინააღმდეგნი უნდა იყვნენ რადიკალთა სამინისტროსი, მაგრამ იმდენად-კი არა, რომ სამინისტრო სამსახურიდამ გადააყენონ. ორატორის ფიქრით, ზომიერ რესპუბლიკელთათვის უმჯობესი იქნება, რომ თვით რადიკალებმა დაამტკიცონ უვარგისობა თავიანთ რეფორმებისა. სხვა ორატორები კი იმ აზრისა იყვნენ, რომ აგრესიულ პოლიტიკას დავადგეთ და სამინისტრო დავამხოთო. მინისტრად ნამყოფი რუვიე ამტკიცებდა, რომ რადიკალთა სამინისტრო საფრანგეთში—ანორმალური გარემოებაა, ქვეყანამ აირჩია უმეტესობა ზომიერ რესპუბლიკელებისა, მაშასადამე, სამინისტროც მათი უნდა იყოსო. ბოლოს კრებამ დაადგინა—აირჩიოს გამგე კომიტეტი, რომელმაც უნდა განიხილოს ახალ სამინისტროს რეფორმები და მოხსენება წარუდგინოს ზომიერთა მომავალ კრებას.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინოპოლიდამ სწერენ გაზ. „ნოვოსტს": სულთანის სასახლეში ყოველ დღე მინისტრთა საგანგებო კრებები ხდება და კომისიაც, რომელსაც მინდობილი აქვს რეფორმების მოხდენა, სხდომებსა ჰმართავს, მაგრამ ოსმალეთში მშვიდობიანობა ჯერ მაინც არა მყარდება. ოსმალთა შორის-კი დიდი მოძრაობაა, რადგანაც ესმით მხარე საშიშ მდგომარეობაშია. მარშლები ზეკკი-ფაშა (არზრუმის მე-4 კორპუსის სარდალი) და შაქირ-ფაშა (საიმპერიო კომისსარი ანატოლიაში) უარს ამბობენ ქურთთა ცხენოსან რაზმებს (ჰამიდიეს) იარაღი აჰყარონ, რასაც რეფორმათა პროექტი თხოულობს და ეს გარემოება-კი უბედურებას ერთი ორად აძლიერებს. ამ ორმა გენერალმა შეჰქმნა ეს ცხენოსანი ჯარი, რომლის იდეაც რუსეთიდგან გადმოიტანა შაქირ-ფაშამ. შაქირ ფაშამ ქურთთა ცხენოსანი ჯარი, ჰამიდიე, რუსის ყაზახთა ჯარების კვალობაზე გააწყო, რადგანაც აღტაცებული იყო მათის ორგანიზაციით. გენერლების აზრით, ქურთნი არას გზით არ დასთანხმდებიან მთავრობას იარაღი თავისის ნებით დაუთმონ და ამისათვის ძალის ხმარება დაგვჭირდებაო. და მათი რიცხვი-კი 30-ს 40,000 კაცს აღემატება; აბა ვინ გაჰბედავს მათზე ძალის ხმარებასაო?

—

**ბელგია.** როგორც იუწყებიან, საზოგადოებათა არჩევანებზე საციალისტებს გაუმარჯვნიათ. სოციალისტთა უმეტესობა 250 ხმას შეადგენს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დაიწყო სხდომები საყოველთაო აღწერის უმთავრეს კომისიისა.

დამტკიცდა სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიის შორის; მიერიდან რუსეთის ნაწარმოებს, რომელნიც იაპონიაში შეაქვთ, ბაჟი იაპონიის ჩვეულებრივი ტარიფით გარდახდებათ.

**ვლადივოსტოკი.** „ნოვ. ვრ."-ს დეპეშა: პეკინიდამ ამბავი მოვიდა, რომ ლიატონგის ნახევარ-კუნძულის დაბრუნების გამო ხელშეკრულება დამტკიცდაო.—უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სეულში გარდასწყვიტეს, გაიყვანონ კორედან იაპონიის ჯარები, გარდა ორი როტა ჯარის-კაცთა სეულში და თითო-თითოსა გენზანში და ფუნზანში, რომელნიც დროებით იქნებიან დატოვებულნი.—იაპონიაში კვლავ გაჩნდა ხოლერა და ჩქარაც ვრცელდება.

**ბრესტი.** ბრესტში მისულ რუსეთის ესკადრას დიდის ამბით მიეგება ქალაქი. ადმირალმა კალოგერასმა დეპეშა გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა კალოგერასს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ყოველივე სიკეთე უსურვა რუსეთის იმპერატორს, სამეფო ოჯახს და მთელს რუსეთს. რუსეთის ფლოტს ფორმა მეგობრული მოკითხვა შეუთვალა.

**ბერლინი.** პოლიციამ დახურა სოციალ-დემოკრატთა 11 საზოგადოება.

**ვენა.** გარდაიცვალა ავსტრ-უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი გრაფი ტააფე.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | | 7,40 | | — | „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — | | — | | 206½ | |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — | „ | — | „ | 100¼ | |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — | „ | 101 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — | „ | 99½ | | — | „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — | „ | 101 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — | „ | 99 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | „ | 98 | | — | „ |

## „ივერიის" ფოსტა.

—

**თიანეთს, ვარდენ გოცირიძეს:** თქვენმა წინადადებამ დაიგვიანა: დურგლები უკვე შეუდგნენ საქმეს, წესდება შეიმუშავეს და დასამტკიცებლად წარუდგინეს მთავრობას.

**საჩხერეს, ბ. ძ—ს.** უმჯობესია პასუხისათვის მიჰმართოთ ჯერ კერძო წერილით თვით ლატარია ალეგრის გამმართველს; გაზეთით მხოლოდ მაშინ შეიძლება დავკითხოთ, როდესაც სხვა გზით ვერას გაიგებთ.

## განცხადებანი

ივანე იაკობის ძე

დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.

(5—1969—3).

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Ноября 1895 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.